ერთიანი ეროვნული გამოცდების სტატისტიკური ანალიზი

ბიულეტენი მომზადებულია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ

სექტემბერი, 2023

ერთიანი ეროვნული გამოცდების სტატისტიკური ანალიზი

- სტატისტიკური ანალიზი ეყრდნობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ სტატისტიკას;
- გამოცდების შედეგების მონაცემები გაანალიზდა საგნობრივ ჭრილში ექვსი დონის/კატეგორიის მიხედვით (დაბალს ქვევით, დაბალი, საშუალოზე დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი და მაღალი);
- სტატისტიკური მონაცემების დამუშავებამ გამოკვეთა გარკვეული საგანმანათლებლო ტენდენციები.

ძირითადი მიგნებები

- საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებები გამოწვევად რჩება აბიტურიენტებისთვის - აბიტურიენტთა ყველაზე დიდმა ნაწილმა ვერ გადალახა ზღვარი ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკისა და ბიოლოგიის საგნობრივ გამოცდებში.

- ფიზიკას სულ 601 აბიტურიენტი აბარებდა (საერთო რაოდენობის 1.5%).

- მათემატიკის საგანს აბარებს მხოლოდ აბიტურიენტების 38%, ხოლო 62%-ის მათემატიკური უნარები არ/ვერ ფასდება.

- 14 927 აბიტურიენტიდან, ვინც მათემატიკის გამოცდა ჩააბარა, 48% (7129 აბიტურიენტი) დაბალ და დაბალს ქვევით შედეგებს აჩვენებს.

- მისაღები გამოცდების და უნივერსიტეტების შერჩეული საგნების ეს სისტემა ორიენტაციას ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებებზე აკეთებს.

- ყველაზე დაბალი შედეგები, მონაცემების მიხედვით, დაფიქსირდა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და სამოქალაქო განათ-ლების მიმართულებებზე.

- მაღალი შედეგებითა და მაჩვენებლებით უცხო ენები და ქართული ენა და ლიტერატურა გამოირჩევა - ანუ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სავალდებულო საგნები.

გამოცდაზე გასული აბიტურიენტების რაოდენობა საგნების მიხედვით

- აბიტურიენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა სავალდებულო საგნების* გამოცდაზე გავიდა.
- ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე 39074 აბიტურიენტი გავიდა.
- უცხო ენების გამოცდაზე (ინგლისური ენა, რუსული ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა) - 38886.
- ყველაზე ნაკლები აბიტურიენტი ფიზიკის (601 აბიტურიენტი) და ხელოვნების (269 აბიტურიენტი) საგნებზე დაფიქსირდა.
- მათემატიკის გამოცდა ჩააბარა 14927 აბიტურიენტმა, რაც გამოცდებზე გასული აბიტურიენტების საერთო რაოდენობის დაახლოებით 38%-ია.

* საგამოცდო საგნები იყოფა სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით და საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მოთხოვნილი დამატებითი საგნებად.

გამოცდაზე გასულ აბიტურიენტთა რაოდენობა საგნების მიხედვით



მისაღებ გამოცდებზე ადმინისტრირებული ტესტირებების გადანაწილება საგნების მიხედვით

- 2023 წელს ადმინისტრირებული იყო 125 361 ტესტი;
- უდიდესი წილი მოდის უცხო ენისა და ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტირებაზე - 62%;
- მაღალია ისტორიის გამოცდის ხვედრითი წილი - 16,5%;
- დაბალია ბიოლოგიის, ქიმიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების, ლიტერატურის, ფიზიკის და ხელოვნების ხვედრითი წილი.


საგნების პროცენტული შეფარდება ადმინისტრირებული საგამოცდო ტესტების სრულ რაოდენობასთან
ქართული
31.20%
უცხო ენები (ინგლისური,...
31%
ისტორია
16.50%
მათემატიკა
11.90%
ბიოლოგია
2.70%
ქიმია
2%
გეოგრაფია
1.50%
საბოქალაქო განათლება
1.50%
ლიტერატურა
0.90%
ფიზიკა
0.50%
ხელოვნება
0.20%

მისაღებ გამოცდებზე ადმინისტრირებული ტესტირებების გადანაწილება საგნობრივი ჯგუფების მიხედვით

- იკვეთება ოთხი მიმართულება: (1) ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების; (2) საზოგადოებრივი მეცნიერებების; (3) ზუსტი და (4) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების;
- ადმინისტრირებული ტესტების 63% ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებებზე მოდის, ხოლო 20% - საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებაზე;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ნაკლები ყურადღების ქვეშ რჩება.

საგნობრივი ჯგუფების პროცენტული შეფარდება ადმინისტრირებულ საგამოცდო ტესტებთან მთლიანობაში



მინიმალური ზღვარის გადალახვა საგნების მიხედვით

- ფიზიკის გამოცდაში ზღვარი ვერ გადალახა 30,95%-მა, ქიმიაში - 19,53%-მა, მათემატიკაში - 15,75%-მა და ბიოლოგიაში - 14, 71%-მა აბიტურიენტმა.
- სამოქალაქო განათლების საგანში მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა 11,33%-მა.

*სხვადასხვა საგანში მაქსიმალური ქულა, ისევე, როგორც მინიმალური გადასალახი ზღვარი განსხვავებულია.

აბიტურიენტების, რომლებმაც ზღვარი ვერ გადალახეს (% საგნების მიხედვით)



აბიტურიენტების შედეგები საგნების მიხედვით

- შედეგები გაანალიზდა ექვსი დონის მიხედვით.
- დაბალ და დაბალს ქვევით კატეგორიაშია მათემატიკის გამოცდაზე გასულ აბიტურიენტთა 48%, ფიზიკის გამოცდაზე გასულ აბიტურიენტთა 46% ქიმიის-29%, სამოქალაქო განათლებისა და ბიოლოგიის 24-24%.
- აბიტურიენტთა 56-67% უცხო ენების (ინგლისური ენა 56%; გერმანული ენა 62%, რუსული ენა - 64,5% და ფრანგული ენა 67%) მაჩვენებლებით საშუალოზე მაღალ და მაღალ კატეგორიაში იმყოფებიან, ანალოგიურად ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბიტურიენტების 45%-ს საშუალოზე მაღალი და მაღალი მაჩვენებელი აქვთ.

*დაბალს ქვევით, დაბალი, საშუალოზე დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი და მაღალი.


აბიტურიენტთა შედეგები საგნების მიხედვით
საშუალოზე მაღალი და მაღალი კატეგორია (67%+)
16%
21%
24%
24%
24%
33%
34%
36%
36%
45%
56%
62.20%
64.50%
67%
მათემატიკა
ფიზიკა
ისტორია
გეოგრაფია
სამოქალაქო...
ხელოვნება
ქიმია
ლიტერატურა
ბიოლოგია
ქართული
ინგლისური
გერმანული ენა
რუსული ენა
ფრანგული ენა


აბიტურიენტთა შედეგები საგნების მიხედვით
დაბალი და დაბალს ქვევით კატეგორია(-33%)
მათემატიკა 48%
ფიზიკა 46%
ქიმია 29%
სამოქალაქო განათლება 24%
ბიოლოგია 24%
გეოგრაფია 22%
რუსული ენა 17.40%
ისტორია 17%
ხელოვნება 16%
ინგლისური 16%
ფრანგული ენა 11%
გერმანული ენა 10.10%
ლიტერატურა 10%
ქართული 8%
0%
10%
20%
30%
40%
50%
60%

აბიტურიენტების მაქსიმალური ქულები საგნების მიხედვით

- მაქსიმალური ქულები ყველაზე ხშირად ინგლისური ენის გამოცდაზე დაფიქსირდა - 648 შემთხვევა;
- ქართულ ენასა და ლიტერატურაში უმაღლესი ქულის 74 შემთხვევა დაფიქსირდა, რუსულ ენაში - 46 შემთხვევა, მათემატიკაში - 43;
- ისტორიის გამოცდაში, რომელსაც 20714 აბიტურიენტი აბარებდა, მაქსიმალური შედეგების მიღების მხოლოდ 8 შემთხვევა დაფიქსირდა;
- ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების, ლიტერატურის, ხელოვნების საგნებში მაქსიმალური შედეგის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

.


გამოცდაზე დაფიქსირებული მაქსიმალური ქულების
რაოდენობა საგნების მიხედვით
700
600
500
400
300
200
100
0
648
74
46
43
8
8
2
1
0
0
0
0
0
0
ინგლისური
ქართული ენა და ლიტ.
რუსული ენა
მათემატიკა
ისტორია
ქიმია
გერმანული ენა
ფრანგული ენა
გეოგრაფია
ბიოლოგია
სამოქალაქო განათლება
ფიზიკა
ხელოვნება
ლიტერატურა

დანართი : გრაფიკები ყველა საგამოცდო საგნის მიხედვით

- გრაფიკი #1 - ზღვარგადალახულთა და მინიმალურ ზღვარს ვერგადალახულთა პროცენტული შეფარდება;
- გრაფიკი #2 - კატეგორიად ჩაშლილი შედეგები რაოდენობრივი თვალსაზრისით;
- გრაფიკი #3 - ექვს მაჩვენებლად ჩაშლილი შედეგები პროცენტების მიხედვით.

საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა







საგანი: ინგლისური ენა







საგანი: მათემატიკა







საგანი: ისტორია







საგანი: ფიზიკა







საგანი: ქიმია







საგანი: ბიოლოგია







საგანი: გეოგრაფია







საგანი: სამოქალაქო განათლება







საგანი: ხელოვნება







საგანი: ლიტერატურა







ბიულეტენი მოამზადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სამოქალაქო ინტეგრაციისა
და ეროვნებათშორისი
ურთიერთობების ცენტრი

www.cciir.ge
FB/CCIIR
cciir.info@gmail.com